ოქმი:**ო08. 3724029001**
თარიღი:**29/01/2024**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 26 იანვარი
ქ.ოზურგეთი
12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ლ. კილაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ნ. ურუშაძე, ბ. კილაძე, პ. სალუქვაძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი (2025-2027 წლები) განვითარების დოკუმენტის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ნანა მელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, მისი შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელობაზე, უფრო ვრცლად და კონკრეტულად დოკუმენტი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ნ. მელაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დოკუმენტის შემუშავების პროცესზე და მის მნიშვნელობაზე მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისათვის. დოკუმენტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ძირითად დოკუმენტს თან ხლებოდა დოკუმენტი, რომელიც დააკონკრეტებდა თუ რა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება იგეგმება. ასევე დააყენა საკითხი გრუნტის წყლების სარწყავად გამოყენების მნიშვნელობაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

საკითხის თანამოხსნებელმა, თ. ბაქანიძე კომისიის წევრებს გააცნო საპრივატიზაციო ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამომხსენებლმა თ. ბაქანიძემ აღნიშნა, რომ არსებული ქონება წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთებს, რომელიც შეტანილია საპრივატიზებო ნუსხაში და შეფასებულია სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო მიერ, დადგენილია საწყისი საფასური, მერია გეგმავს უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აქაც მხარი დაუჭირეს წინადადებას პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით;

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი